შპს ,,დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, სწავლების ორგანიზებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

თბილისი
2023

მუხლი 1. პრეამბულა და სამართლებრივი საფუძველი

1. **პრეამბულა:**

წინამდებარე წესი არეგულირებს შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში“ (შემდგომში – „კოლეჯი“) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირების რეგისტრაციის, ჩარიცხვის, სასწავლო პროცესის ადაპტაციის (აკომოდაცია/მოდიფიკაცია), ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და მხარდამჭერი სერვისებით უზრუნველყოფის პროცედურებსა და პირობებს.

2. **სამართლებრივი საფუძველი**

წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წესში გამოყენებულ ტერმინებს წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი – „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირი, აგრეთვე პირი, რომელსაც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და შეზღუდული შესაძლებლობა და რომელიც საჭიროებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას ან/და დამატებით სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი – პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებასთან შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას თანაბარ პირობებში (შემდგომში – „შშმ პირი“);

გ) ინკლუზიური განათლების სპეციალისტი / სსსმ პირის ასისტენტი – შესაბამისი კვალიფიკაციის/კომპეტენციის მქონე კადრი, რომელსაც სსსმ/შშმ სტუდენტის ჩარიცხვის ან ასეთი საჭიროების წარმოშობის/გამოვლენის შემთხვევაში, შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულებით იწვევს/იღებს კოლეჯი სტუდენტის მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის ასისტენტირების მიზნით;

დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) – სასწავლო დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს, მორგებულია კონკრეტული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და განსაზღვრავს მისაღწევ სწავლის შედეგებს, სწავლებისა და შეფასების ადაპტირებულ მეთოდებსა და გზებს;

ე) აკომოდაცია – სასწავლო/შეფასების გარემოს, დროის, ფორმატისა და სწავლების სტრატეგიების ცვლილება, რაც არ ცვლის მოდულით/პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებსა და შინაარსს;

ვ) მოდიფიკაცია – პროფესიული პროგრამით/მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმებისა და კომპეტენციის პარამეტრების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება სტუდენტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე;

ზ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – კოლეჯის დირექტორის მიერ უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ბრძანება (შემდგომში – „ბრძანება“).

მუხლი 3. სსსმ და შშმ პირების რეგისტრაციისა და ჩარიცხვის პროცედურა

1. რეგისტრაციის პროცესში აპლიკანტი ეცნობა კოლეჯში არსებულ პროგრამებს და ირჩევს სასურველ პროფესიას.
2. შეზღუდული ქმედუნარიანობის/მხარდაჭერის მიმღები/ქმედუუნარო აპლიკანტის წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს:

ა) საკუთარი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) აპლიკანტის შეზღუდული ქმედუნარიანობის/მხარდაჭერის მიმღებად ცნობის/ ქმედუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) წარმომადგენლობის/ მეურვეობის /მზრუნველობის /მხარდამჭერის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი/აპლკანტის წარმომადგენელი, ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ცალკეულ კლასში / სემესტრში ან საფეხურის ბოლო კლასში, რომელიც დამოწმებული იქნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ხელმოწერებით;

ბ) ცნობა სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში:

გ) ცნობა აუდიოგრამას (სმენის დარღვევისას)დარღვევის შემთხვევაში;

დ) ოფთალმოლოგის მიერ გაცემულ ცნობა (მხედველობის დარღვევისას);

ე) შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემულ სამედიცინო ცნობა, ქცევითი და ემოციური აშლილობისას;

ვ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია მიიღება კოლეჯის ადმინისტრაციის მისამართზე (ქ. თბილისი, ა. წერეთელის გამზირი N121)
5. ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ "შერჩევის პერიოდის, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღის დამტკიცების შესახებ" ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით განსაზღვრულ ვადაში .
6. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები ჩაირიცხებიან კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. ყველა პროგრამა, რომელზეც გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში.
8. პირს, რომელსაც ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო სისტემაში გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ პროგრამების შეთავაზებას, რომელზე ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია.
9. კოლეჯი განიხილავს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტებისმიერ გაცემულ რეკომენდაციებს და თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.
10. რეგისტრირებულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა შერჩევა წარიმართება კოლეჯის დირექტორის მიერ დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად, პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე.
11. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე, როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.
12. პრაქტიკული მოსინჯვის ვადების, შეფასების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტების ან ასეთის ვალიდურობის დადგენისას კოლეჯი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42 ბრძანებით;
13. პრაქტიკული მოსინჯვის შედეგებს კოლეჯის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, მიწოდებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა.

14. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს. ამასთან, დაწესებულებას უფლება აქვს განსაზღვროს დამატებითი პირობები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.
15. კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის შესახებ;
16. სწავლის დაწყების თარიღამდე, კოლეჯის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ მონაცემებს ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
17. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრი უკავშირდება აპლიკანტს მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასების მიზნით და დასკვნას აგზავნის კოლეჯში.
18. პროფესიის მოსინჯვისა და ტესტირების ჩატარების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით მტკიცდება კომისიის შემადგენლობა.
19. კომისიის შემადგენლობაში შედიან: სასწავლო დეპარტამენტის წარმომადგენელი, პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი მასწავლებელი და კოლეჯის მიერ მოწვეული/აყვანილი ინკლუზიური განათლების სპეციალისტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
20. მულტიდისციპლინური გუნდის წევრის დასკვნის საფუძველზე, კომისია ინდივიდუალურად გეგმავს პროფესიის მოსინჯვისა და ტესტირების აქტივობებს, განაზღვრავს ტესტირებისთვის საჭირო დროს, ადაპტირებულ გარემოსა და რესურსებს.
21. ტესტირების პროცესში შევსებული ფორმები იგზავნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, რის საფუძველზეც გამოიცემა ბრძანება აპლიკანტის კოლეჯში ჩარიცხვის შესახებ.

მუხლი 4. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

1. კოლეჯი იღებს ვალდებულებას, სსსმ/შშმ სტუდენტის ჩარიცხვის, მობილობით გადმოსვლის ან სწავლის პროცესში ასეთი საჭიროების გამოვლენის/დადასტურებისთანავე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აყვანა.

2. სპეციალისტის აყვანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, პროფესიული სტუდენტის სწავლის პერიოდის ვადით ან შესაბამისი საჭიროების ვადით.
3. სპეციალისტის ფაქტობრივ აყვანამდე, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერ პირველად ღონისძიებებსა და კოორდინაციას ახორციელებს სასწავლო დეპარტამენტი ხარისხის მართვის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად.
4. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ სტუდენტთა პროფესიული განათლების მხარდაჭერასა და პროცესის კოორდინაციას:

   ა) უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა და მათი ოჯახების კონსულტირებას პროფესიულ განათლებაში ჩართვის თაობაზე.

   ბ) მასწავლებლებთან ერთად აფასებს სსსმ/შშმ პირთა პროფესიულ ინტერესებს, წინაპროფესიულ უნარებსა და საჭიროებებს.

   გ) არგებს სასწავლო გარემოსა და მასალას სტუდენტის საჭიროებებს; მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში.

   დ) უზრუნველყოფს სტუდენტის უწყვეტ მხარდაჭერას; აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციასა და ბაზებს (მათ შორის, პორტფოლიოს).

   ე) მოქმედებს მულტიდისციპლინური მიდგომით; თანამშრომლობს სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდებთან, მასწავლებლებთან, ოჯახის წევრებთან და ხელს უწყობს ინკლუზიური კულტურის დამკვიდრებას.

   ვ) პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს სსსმ/შშმ პირთა დასაქმებასა და ადვოკატირებას.

5. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი უფლებამოსილია შეიტანოს წინადადებები სამუშაოს სრულყოფის, სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისა და სსსმ/შშმ სტუდენტთა დამატებითი რესურსებით უზრუნველყოფის თაობაზე კოლეჯის ადმინისტრაციის წინაშე.
6. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორისა და სასწავლო დეპარტამენტის წინაშე; კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს შესაბამის კორესპონდენციასა და პერიოდულ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მუხლი 5. სსსმ/შშმ პირების სწავლებისთვის განსახორციელებელი აქტივობები

1. ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ (ხოლო ასეთის აყვანამდე – სასწავლო დეპარტამენტისა და მასწავლებლის მიერ) ხორციელდება შემდეგი აქტივობები:
   ა) სწავლის დასაწყისში, სასწავლო პროცესში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და შესვენებებზე სსსმ/შშმ სტუდენტზე დაკვირვება;
   ბ) სსსმ/შშმ სტუდენტთან, მის მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან გასაუბრება გარემოსთან, სწავლის პროცესსა და ინდივიდუალურ საჭიროებებთან დაკავშირებით;
   გ) სტუდენტის წინაპროფესიული და სოციალური უნარ-ჩვევების (დროისა და სივრცის მართვა, ინსტრუქციის მიყოლა, კომუნიკაცია, უსაფრთხოების დაცვა) შეფასება;
   დ) მასწავლებლებთან გასაუბრება სასწავლო მასალისა და მეთოდების ადაპტირების, ჯგუფურ მუშაობაში ჩართულობისა და პროგრესის შეფასების მიზნით;
   ე) სტუდენტის პორტფოლიოს შექმნა და წარმოება;
   ვ) საჭიროების შემთხვევაში, ყოველდღიური მხარდაჭერა და ფიზიკური დახმარება ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების მიმდინარეობისას.

მუხლი 6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად კოლეჯის მიერ მუშავდება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის) ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული პროფესიული სტუდენტის/სტუდენტებისათვის.
5. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის საჭიროება წარმოიქმნება, იმ შემთხვევაში, თუ:
ა) კოლეჯში სწავლობს სსსმ/შშმ სტუდენტი/მსმენელი, რომელიც შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ აღწევს სწავლის შედეგების დადასტურებას;
ბ) სტატუს შეჩერებულ პროფესიულ სტუდენტს აღუდგა სტატუსი;
გ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმება ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთერთი კვალიფიკაციის ამოღება ან პროგრამის შეცვლა/გაუქმება, როდესაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
დ)მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან.
6. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და

სასწავლო რესურსების ადაპტირება. სასწავლო რესურსების ადაპტირებაში იგულისხმება ასევე, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები.
7. წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან დაკავშირებით პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი მიმართავს სასწავლო დეპარტამენტს, რის შემდგომაც დეპარტამენტის წარმომადგენელი და პროგრამის ხელმძღვანელი ესწრებიან სასწავლო პროცესს დაკვირვების მიზნით. თუ ფაქტი დადასტურდა, სასწავლო დეპარტამენტი პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ განათლების მასწავლებელთან/პრაქტიკის ხელმძღვანელთან და შესაბამისი სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის ასისტენთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
8. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის და მის ფარგლებში სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგების შესაბამისად, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება პროფესიულის საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნების შესაბამისად.
9. წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში, სასწავლო დეპარტამენტი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, პროფესიული სტუდენტის აქტიური მონაწილეობით შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას 5 სამუშაო დღეში მისი საჭიროების წარმოშობის მომენტიდან.
10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თანხმდება პროფესიულ სტუდენტთან, რაც დასტურდება ხელმოწერით
11. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხდება შეთანხმება პროფესიულ სტუდენტთან, ხდება
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავიდან შემუშავება/გადამუშავება.

მუხლი 7. აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობები

1. **აკომოდაცია** არის მოდულით გათვალისწინებული სასწავლო გარემოსა და პირობების ცვლილება, სასწავლო მიზნებში ცვლილებების შეტანის გარეშე სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით.

- აკომოდაციისას შეიძლება შეიცვალოს: ფიზიკური გარემო (ავეჯის განლაგება, განათება), საათების განაწილება და დღის გრაფიკი, სასწავლო მასალის ფორმა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები (წერითი შეფასება ზეპირის ნაცვლად და პირიქით, დამატებითი დრო, გამადიდებელი საშუალებები).

2. **მოდიფიკაცია** არის მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესრულების კრიტერიუმებისა და კომპეტენციის პარამეტრების რაოდენობრივი ან თვისებრივი ცვლილება.
3. მოდულის მოდიფიკაციის შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია სწავლის დასაწყისშივე ინფორმირებული გახადოს სტუდენტი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი, რომ ასეთ შემთხვევაში სტუდენტმა შესაძლოა ვერ მიიღოს სრული პროფესიული კვალიფიკაცია.

მუხლი 8. სსსმ/შშმ პირების სერვისები

1. სსსმ/შშმ სტუდენტთა საჭიროებებიდან გამომდინარე, კოლეჯი უზრუნველყოფს (სახელმწიფო პროგრამების ან/და საკუთარი რესურსების ფარგლებში) შემდეგი სერვისების მიწოდებას:

ა) ეტლით მოსარგებლე და გადაადგილების სირთულის მქონე სტუდენტებისთვის — გადაადგილების მხარდამჭერი;
ბ) უსინათლო და მცირედმხედველი სტუდენტებისთვის — სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერი, აგრეთვე ხმოვანი პროგრამები და ვიდეო გამადიდებელი;
გ) ყრუ და სმენადაქვეითებული სტუდენტებისთვის — ჟესტური ენის თარჯიმანი;

დ) მუდმივი მხარდაჭერის საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის — სპეციალური ასისტენტი.

2. სერვისების უზრუნველსაყოფად სასწავლო დეპარტამენტი მიმართავს კოლეჯის დირექტორს, რომელიც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

მუხლი 9. აღრიცხვა-ანგარიშგება

1. სსსმ/შშმ სტუდენტებისათვის გაწეული მომსახურების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიმდინარეობისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ანგარიშგებას ახორციელებს აყვანილი/მოწვეული ინკლუზიური განათლების სპეციალისტი სასწავლო დეპარტამენტთან ერთად.
2. სემესტრული/წლიური ანგარიშის წარდგენა კოლეჯის დირექტორისათვის ხდება სწავლის/სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.